



თანამშრომლობის მემორანდუმი

თბილისი, 08/04/2008

მხარეები:

შპს "საქართველოს უნივერსიტეტი" - წარმოადგენს რექტორი, პროფესორი მანანა სანაძე  
შპს "ავერსი-ფარმა" - წარმოადგენს გენერალური დირექტორი პაატა კურტანიძე

იმის შეგნებით, რომ ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება და დაცვა წარმოადგენს ხელისუფლების სტრატეგიულ პრიორიტეტს, რომელიც ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი რეფორმებით, გამოირჩევა მოქმედების მაღალი ტემპით, სამედიცინო მომსახურების წარმოებისა და მიწოდების უმაღლესი ფორმების დანერგვით და მოითხოვს ჯანდაცვითი პროცესების სათანადო ადმინისტრირებას როგორც დაფინანსების, ისე, საზოგადოდ, ერთიანი მენეჯმენტის მიმართულებით, ეს მიზანი კი ვერ მიიღწევა ცოდნისა და მომზადების საერთაშორისო სტანდარტების მქონე სპეციალისტების ინტელექტუალური და საშემსრულებლო დონეზე არსებული პროფესიული შრომითი ურთიერთობების გარეშე;

დარწმუნებულნი, რომ ასეთი შრომითი რესურსების აღზრდა შეუძლებელია ახალი ტიპის უმაღლესი სასწავლებლების, ახალი სასწავლო-სამეცნიერო პოტენციალისა და სათანადო საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებისა და განხორციელების გარეშე, რისთვისაც სამედიცინო სერვისების მიმწოდებლებს სჭირდებათ კვალიფიციური ადამიანური რესურსები, რომლებიც ადეკვატურად მოახდენენ ლოკალური და დარგობრივი სისტემების მართვას;

გაერთიანებულნი იდებით, რომ ყოველგვარი ინიციატივა ნაყოფიერია, თუ ემსახურება სახელმწიფო და კერძო სექტორის პარმონიულ განვითარებას და იმის აღიარებით, რომ აქვთ საერთო ინტერესები ჯანდაცვის ადმინისტრირების გაუმჯობესების კუთხით, რაც ეფუძნება სათანადო შრომითი რესურსების მომზადებისა და გამოყენების უახლეს სამეცნიერო-პრაქტიკულ გამოცდილებას.

მხარეები ხელს აწერენ მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განვრცობის მიზნით, რაც უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს:

“სუ“-ის სამეცნიერო-პრაქტიკული, ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენებას ჯანდაცვის სფეროს ადმინისტრირების გაუმჯობესების საკითხებში (კვლევა, ანალიზი, რეკომენდაციები);  
“ავერსი-ფარმა“-ს თანამშრომელთა პროფესიულ წვრთნას მათი კომპეტენციების ამაღლების მიზნით;  
“სუ“-ის სტუდენტებისთვის ხელის შეწყობას პროფესიული სტაჟირების გაგლისა და საჭიროების შემთხვევაში - დასაქმების კუთხით;  
ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული პროექტების წარმოებას, რისთვისაც გამოყენებულ იქნება როგორც “სუ“-ის, ისე “ავერსი-ფარმა“-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სათანადო რესურსები.

მემორანდუმის მოქმედების ვადა განუსაზღვრელია. პირობები ექვემდებარება შემდგომ გაუმჯობესებასა და გადახედვას წინასწარი შეტყობინების საფუძველზე.

მხარეები დარწმუნებულნი არიან, რომ თანამშრომლობის მემორანდუმი ხელს შეუწყობს ქვეყნის ერთ-ერთი სტრატეგიული პრიორიტეტის - ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის - გაუმჯობესებასა და დაცვას, ხელს აწერენ მას და ორ ვგზემპლარად ინახება მათთან.

შპს "საქართველოს უნივერსიტეტის"  
რექტორი, პროფესორი  
  
მანანა სანაძე

შპს "ავერსი-ფარმას"  
გენერალური დირექტორი  
  
პაატა კურტანიძე